

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2021 წლის 01.01-31.03. პერიოდის მოკლე ანგარიში

2021 წლის 01 იანვრიდან 31 მარტის საანგარიშო პერიოდისთვის სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელდა 12 534 აქტივობა, რომელიც მოიცავს 3 178 ობიექტზე ინსპექტირებას ან/და ცნობიერების ამაღლების მიზნით ინფორმაციის გაზიარებას. აქტივობები განხორციელდა შემდეგი მიმართულებით:

1. "შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მასშტაბით შრომის პირობებზე ზედამხედველობისას:

- ✓ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად 207 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება განხორციელდა 175 ობიექტზე. მათ შორის კრიტიკული შეუსაბამობისთვის საქმიანობა შეუჩერდა 34 ობიექტს (34 შემთხვევაში სასამართლომ დაამტკიცა შრომის ინსპექციის სამსახური გადაწყვეტილება საქმიანობის შეჩერების შესახებ. (დოკუმენტაციის მოცულობის სიდიდიდან გამომდინარე, დანართი 1 სახით წარმოგიდგენთ 2 მათგანს);
- ✓ უშუალოდ საწარმოო უბედური შემთხვევის მოკვლევისთვის განხორციელდა - 10 ინსპექტირება. 6 შემთხვევაზე შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული მოკვლევა დასრულებულია, დანარჩენზე მიმდინარეობს მოკვლევის პროცედურები (დანართი 2 სახით წარმოგიდგენთ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული მოკვლევის შედეგად შედგენილ მოკვლევის ოქმებს, ფორმა 1.1).
- ✓ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზრვული ნორმების აღსრულებაზე, ზედამხედველობის მიზნით, განხორციელდა 45 ინსპექტირება 45 ობიექტზე.
- ✓ საწარმოო უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინება ზედამხედველი ორგანოსთვის განხორციელდა 52 დამსაქმებლის მიერ (დანართი 3 სახით წარმოდგენილია საწარმოო უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინების ფორმის 1.3 ასლები);
- ✓ 42 დამსაქმებლის მიერ განხორციელდა უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისიის შექმნა და მოკვლევა (მოცულობის სიდიდიდან გამომდინარე, დანართი 4 სახით, წარმოდგენილია მოკვლევის 1.2 ფორმის რამდენიმე ასლი).

2. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული ღონისძიებების აღსრულების კუთხით, საქართველოს მასშტაბით, ჯამში განხორციელდა 12 276 აქტივობა შრომის ინსპექციის, შემოსავლების სამსახურის, სურსათის ეროვნული სააგენტოს, მუნიციპალური საზედამხედველო სამსახურებისა და საპარტულო პოლიციის, ასევე კრიმინალური და ფინანსური პოლიციის შესაბამისი დეპარტამენტების ჩართულობით. აქტივობათა უმეტესობა მოიცავს კონტროლისა და ზედამხედველობის სხვადასხვა სახის გამოყენებას, მათ შორის ზედამხედველობის შედეგად:

- ✓ საქმიანობის აღდგენის საფუძვლით განხორციელებული ინსპექტირების შედეგად

- მოთხოვნები დააკმაყოფილა - 287-მა ობიექტმა
- 102 განაცხადი კი დახარვეზდა;
- ✓ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელდა 9221 სარეკომენდაციო ხასიათის ინსპექტირება;
- ✓ ბიზნეს სექტორის ინფორმირებისას აკრძალული საქმიანობა შეუჩერდათ - 194 ობიექტს;
- ✓ რეკომენდაციების აღსრულებაზე შემოწმდა 104 ობიექტი;
- ✓ საქართველოს მთავრობის N322 დადგენილებით აკრძალული საქმიანობის განხორციელებისა და რეკომენდაციების დარღვევის საფუძველით დაჯარიმდა 53 ობიექტი (მათგან 28 იურიდიული და 25 ფიზიკური პირი);
- ✓ ბიზნეს სექტორისთვის ცნობიერების ამაღლების შემდგომ, გადამოწმებისას დადგინდა, რომ შემოწმებული ობიექტებიდან 2315 ობიექტი პროტოკოლის დაცვით ახორციელებდა საქმიანობას.


გარდა ზემოხსენებული აქტივობებისა, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურში „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აღირიცხა 28 ადმინისტრაციული საჩივარი. ზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებული 8 გადაწყვეტილება იქნა გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით დამსაქმებლთა და დასაქმებულთათვის, შრომის ინსპექციის გაზრდილი მანდატის პარალელურად, სამსახურის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით განხორციელდა 30 სამუშაო/საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა 1900-მდე პირთან, მათ შორის 16 საინფორმაციო შეხვედრა დისტანციურ ფორმატში. გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მასობრივად გაზიარების საფუძველით, სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული პროტოკოლის აღსრულებისა თუ ეკონომიკური საქმიანობების გახსნის საჭიროებების შესახებ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ბრიფინგის ფარგლებში სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი შრომის ინსპექტორის მიერ 7-ჯერ განხორციელდა სამსახურის მიერ უშუალოდ ან სხვა უწყებებთან თანამშრომლობით განხორციელებული მონიტორინგის შედეგებისა და მიმდინარე/დაგეგმილი პროტოკოლის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საანგარიშო პერიოდში სატელევიზიო გადაცემების საშუალებით მთავარი შრომის ინსპექტორის მიერ შრომის ინსპექციის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია 163-ჯერ გაჟღერდა.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში საწარმოო უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა 6 და დაშავდა 49 დასაქმებული.

დიაგრამა N1

საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა




წყარო სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური

ეკონომიკური საქმიანობის სფეროების სექ 006-2016-ის მიხედვით საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა სტატისტიკური მონაცემები ასახულია დიაგრამაზე N2.

დიაგრამაზე N2

ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა




წყარო სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური

საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად მძიმედ დაშავდა 8, ხოლო საშუალოდ - 41 პირი, რაც თვალსაჩინოდაა ასახული დიაგრამაზე N3.

დიაგრამაზე N3.

საწარმოო უბედური შემთხვევების კლასიფიკაცია და ზიანების სიმძიმის მიხედვით



წყარო სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური

მიმდინარე წლის 01 იანვრიდან 01 აპრილამდე პერიოდში სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საქართველოს შრომის კოდექსის საფუძველზე განხორციელებულ შემოწმებებთან დაკავშირებით, თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისად გაცნობებთ, რომ:

1. საქართველოს შრომის კოდექსითა და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შრომის ნორმების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით შემოვიდა 30 განცხადება;
2. საქართველოს შრომის კოდექსითა და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შრომის ნორმების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით განახორციელა 44 ინსპექტირება;
 - გეგმური და დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განხორციელდა 7 ინსპექტირება;
 - იძულებითი შრომა, კოლექტიური ურთიერთობიდან გამომდინარე და დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევას ეხება 3 ინსპექტირება.
3. რაც შეეხება საქართველოს შრომის კოდექსითა და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შრომითი ნორმების დაცვაზე ზედამხედველობის მიზით პირველად და შემგომი ინსპექტირებების საქმის მასალებს, გაცნობებთ, რომ „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრული ვადების დაცვით მიმდინარეობს ინსპექტირების პროცესი, რომელთან დაკავშირებითაც საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული.
 - სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება, ბავშვთა შრომის ან/და იძულებითი შრომის ამკრძალავი დებულებების დარღვევისთვის, არ მიღებულა.

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის 2021 წლის სამტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის შეთანხმების შესახებ ბრძანება და ბრძანების დანართი Excel-ის ფაილის სახით წარმოდგენილია შესაბამისად დანართი 5 და დანართი 6 - ით.

გაცნობებთ სამსახურში სამტატო ნუსხით განსაზღვრულ თანამდებობებზე თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ სტრუქტურული ერთეულების მიხედვით:

დასაქმებულ პირთა საერთო რაოდენობა: 64:

- ✓ მთავარი შრომის ინსპექტორი (სამსახურის ხელმძღვანელი) - 1;
- ✓ შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტი - 1;
- ✓ შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის სამშენებლო სექტორზე ზედამხედველობის სამმართველო - 19;
- ✓ შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის სამთომოპოვებით და მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის სამმართველო - 5;
- ✓ შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის სამთომოპოვებით და მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის სამმართველოს მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის განყოფილება - 5;
- ✓ შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მსუბუქ მრეწველობასა და მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის სამმართველო - 10;
- ✓ შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მსუბუქ მრეწველობასა და მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის სამმართველოს მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის განყოფილება - 10;
- ✓ შრომის უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველო - 6;
- ✓ მონიტორინგისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის ოპერატიული ინფორმაციის მოძიების, მონიტორინგისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის სამმართველო - 3;
- ✓ ადმინისტრაციული დეპარტამენტი - 1;
- ✓ ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო - 2;
- ✓ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო - 1.

რაც შეეხება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე პირველადი და განმეორებითი შემოწმების შედეგად შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებისა და მითითებების ასლებს, წარმოგიდგენთ პერიოდულად, დადგენილ ვადაში.